

კეცხოველისა და გორიჯვრის ქუჩების რეაბილიტაცია მაისის ბოლოს დასრულდება

10 მაისი 2017

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდი ქ.გორში, რკინიგზის სადგურის დასახლებაში, ქუჩებისა და სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაციას ახორციელებს. მიმდინარე სამუშაოები რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა, ზურაბ ალავიძემ, შიდა ქართლის გუბერნატორმა, კახა სამხარაძემ და ქალაქ გორის მერმა, ზურაბ ჯირკველიშვილმა მოინახულეს. კეცხოველისა და გორიჯვრის ქუჩებზე გზები და სანიაღვრე სისტემა დაზიანებული იყო და მოსახლეობას, განსაკუთრებით ნალექის დროს, გადაადგილება უჭირდა. პროექტის ფარგლებში მოასფალტდება 3,270 კმ სიგრძის გზა და მიმდებარე ტროტუარები. მოეწყობა რკინა-ბეტონის ბორდიურები და სანიაღვრეები. ობიექტზე დასაქმებულია 55 ადამიანი. პროექტი ევროპის საინვესტიციო ბანკის დაფინანსებით ხორციელდება. სამუშაოებზე 1,654,000.00 ლარი დაიხარჯა. სამუშაოები დასკვნით ფაზაშია და მაისის ბოლოდან გორის მოსახლეობა უსაფრთხო და კომფორტული გზით ისარგებლებს.